



კოლეჯი ბარაკონი

1992 წლიდან

2019 წლის სამოქმედო გეგმის  
შესრულების ანგარიში

# 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

თბილისი

2020

---

# სარჩევნი

შესავალი .....	3
სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება .....	4
სტრატეგიული მიზანი 1 .....	4
სტრატეგიული მიზანი 2 .....	11
სტრატეგიული მიზანი 3 .....	18
სტრატეგიული მიზანი 4 .....	23
სტრატეგიული მიზანი 5 .....	31
სტრატეგიული მიზანი 6 .....	38
დასკვნა .....	41
2019 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიშის შემუშავებაში ჩართული პირები.....	41

# შესავალი

საანგარიშო პერიოდში კოლეჯი თავის საქმიანობას ახორციელებს „შპს ბარაკონი (საზოგადოებრივი კოლეჯი) სტრატეგიული გეგმა 2016-2022“-ის შესაბამისად.

სტრატეგიული გეგმის პროექტი შეიქმნა სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე კომისიის მიერ და განსახილველად გადაეცა პედაგოგიურ საბჭოს. სტრუქტურულ ერთეულს განხილვისა და შენიშვნებისათვის მიეცა ერთი კვირის ვადა. მიღებული შენიშვნებითა და რეკომენდაციებით ჩასწორებული სტრატეგიული გეგმის პროექტი განსახილველად და შემდგომში დასამტკიცებლად წარედგინა დამფუძნებელთა საბჭოს. შესაბამისად, სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობით პროცესია და მასში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები.

სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით შემუშავებული სამოქმედო გეგმა შედგება 6 სტრატეგიული მიზნისგან, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ 14 ამოცანასა და 41 აქტივობას. სამოქმედო გეგმის მიხედვით შემდეგი სტრატეგიული მიზნებია გამოყოფილი:

- მატერიალური რესურსის განვითარება;
- კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება;
- პროგრამებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;
- კოლეჯის ცნობადობის გაზრდა და ცნობიერების ამაღლების აქტივობების ორგანიზება პროფესიული სტუდენტებისთვის;
- მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხილვა, შემუშავება.

აღნიშნული ანგარიშით შეფასებულია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება. აქტივობების შესრულება ხელს შეუწყობს კოლეჯის საქმიანობის გაუმჯობესებას, როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის კუთხით.

# სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება

## სტრატეგიული მიზანი 1

2019 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით მატერიალური რესურსის განვითარება არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იყო 3 ამოცანის ფარგლებში 9 აქტივობის განხორციელება.

### ამოცანა 1 – სასწავლო სახელოსნოების/ დარგობრივი კაბინეტების/ თეორიული სწავლების აუდიტორიების მატერიალური რესურსით გაუმჯობესება

<i>აქტივობა 1 - პროგრამების განხორციელების მიზნებისთვის ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა</i>				
<b>აქტივობის მოკლე აღწერა</b>	სასწავლო სახელოსნოების/ დარგობრივი კაბინეტების/ თეორიული სწავლების აუდიტორიების მატერიალური რესურსით გაუმჯობესება არის სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთი ამოცანა. შესაბამისად, ამ ამოცანის ფარგლებში აქტივობას წარმოადგენს პროგრამების განხორციელების მიზნებისთვის ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა.			
<b>მთავარი მიზანი</b>	მატერიალური რესურსის განვითარება			
<b>ინდიკატორი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>შეძენილი ტექნიკური აღჭურვილობის მაჩვენებელი</li> </ul>			
<b>სავარაუდო ვადა</b>	2019 წლის პირველი ნახევარი			
<b>მიღწეული შედეგები</b>	სასწავლო მიზნებისთვის შეძენილ იქნა ერთი პრინტერი (კომბაინი), 3 კომპიუტერის მონიტორი. ასევე, სასწავლო მიზნებისთვის შეძენილ იქნა სხვადასხვა რაოდენობის თავგი, კლავიატურა, ქსელის აქსესუარი, დენის ფილტრი.			
<b>შესრულების შეფასება</b>	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
<b>სამომავლო გეგმები</b>	-			

<b>აქტივობა 2 - პროგრამების განხორციელების მიზნებისთვის სასწავლო ინვენტარის განახლება</b>				
<b>აქტივობის მოკლე აღწერა</b>	სასწავლო სახელოსნოების/ დარგობრივი კაბინეტების/ თეორიული სწავლების აუდიტორიების მატერიალური რესურსით გაუმჯობესება არის სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთი ამოცანა. შესაბამისად, ამ ამოცანის ფარგლებში აქტივობას წარმოადგენს სასწავლო ინვენტარის განახლება.			
<b>მთავარი მიზანი</b>	მატერიალური რესურსის განვითარება			
<b>ინდიკატორი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>შემენილი/განახლებული ინვენტარის რაოდენობა/მაჩვენებელი</li> </ul>			
<b>სავარაუდო ვადა</b>	2019 წელი			
<b>მიღწეული შედეგები</b>	პროგრამების განხორციელების მიზნებისთვის სასწავლო ინვენტარის განახლება წლის განმავლობაშია დაგეგმილი. საანგარიშო პერიოდში შემენილ იქნა 25 ორადგილიანი მერხი, 75 საოფისე სკამი, 6 კომპიუტერის მაგიდა, 3 დასაკიდი კარადა, 2 ოვალური მაგიდა, 6 ქიმიური მაგიდა.			
<b>შესრულების შეფასება</b>	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
<b>სამომავლო გეგმები</b>	-			

<b>აქტივობა 3 - პროგრამების განხორციელების მიზნებისთვის მასალა-ნედლეულის შეძენა</b>				
<b>აქტივობის მოკლე აღწერა</b>	სასწავლო სახელოსნოების/ დარგობრივი კაბინეტების/ თეორიული სწავლების აუდიტორიების მატერიალური რესურსით გაუმჯობესება არის სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთი ამოცანა. შესაბამისად, ამ ამოცანის ფარგლებში აქტივობას წარმოადგენს მასალა-ნედლეულის შეძენა.			
<b>მთავარი მიზანი</b>	მატერიალური რესურსის განვითარება			
<b>ინდიკატორი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>შემენილი მასალა-ნედლეულის მაჩვენებელი</li> </ul>			

<b>სავარაუდო ვადა</b>	2019 წელი			
<b>მიღწეული შედეგები</b>	<p>საანგარიშო პერიოდში პროგრამების განხორციელების მიზნებისთვის დამზადდა ქსოვილების მიკროპრეპარატების კომპლექტი, უჯრედების დაყოფის მიკროპრეპარატების კომპლექტი, უჯრედების მიკროპრეპარატების კომპლექტი. ასევე, საკანცელარიო ხარჯმა შეადგინა 3098.43 ლარი.</p> <p>პროგრამების განხორციელების მიზნებისთვის შეძენილ იქნა ოთხი ერთეული ლანცეტი, ექვსი ერთეული სადგისი და ნემსების კომპლექტი 20 ერთეული მახათით. ერთი ერთეული მაშრობი კარადა, სამი ერთეული სინათლის მიკროსკოპი, რვა ერთეული ფარმაცევტული როდინი, სამი ერთეული ქიმიური კოლბა, რვა ერთეული პინცეტი, ოცი ერთეული სხვადასხვა ზომის ჭურჭელი სითხოვანი ნივთიერებებისთვის, ოთხი ერთეული გრადუირებული ცილინდრი, ოთხი ერთეული ლუპა, ოცდაოთხი ერთეული მინის ჩხირი, ხუთი ერთეული სასწორი (5გრ.), ორი ერთეული საწონების კომპლექტი, სინჯარების კონტეინერი, პიპეტების კონტეინერი, ორი ერთეული ერლენმეიერის კოლბა შლიფით, ერთი ბრტყელძირიანი კოლბა თავსახურით, შტანგლასები 12 ერთეული, გამყოფი მინის ძაბრი, მინის ძაბრები სხვადასხვა ზომის 13 ერთეული, კიპის აპარატი, საცობიანი კოლბა გრძელი ყელით სხვადასხვა ზომის სამი ერთეული, მინის მილი ექვსი ერთეული, ტიგელის დამჭერი მაკრატელი, საცობიანი სინჯარა რვა ერთეული, ერლენმეიერის შლიფით (250მლ., 500მლ.) კოლბა ორი ერთეული, ბიუქსები მინის მილესილსაცობიანი სამი ერთეული.</p>			
<b>შესრულების შეფასება</b>	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
<b>სამომავლო გეგმები</b>	-			

<b>აქტივობა 4 - გათბობის საშუალებების გადამოწმება-განახლება</b>	
<b>აქტივობის მოკლე აღწერა</b>	<p>გათბობის საშუალებების გადამოწმება-სრულყოფა წარმოადგენს სასწავლო სახელოსნოების/ დარგობრივი კაბინეტების/ თეორიული სწავლების აუდიტორიების მატერიალური რესურსით გაუმჯობესების ამოცანის ფარგლებში ერთ-ერთ აქტივობას.</p>

<b>მთავარი მიზანი</b>	მატერიალური რესურსის განვითარება			
<b>ინდიკატორი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>გათბობის საშუალებების გადამოწმება - სრულყოფაზე დახარჯული თანხა</li> </ul>			
<b>სავარაუდო ვადა</b>	2019 წელი			
<b>მიღწეული შედეგები</b>	<p>საანგარიშო პერიოდის პირველ ნახევარში კოლეჯის მისამართს წარმოადგენდა თბილისი, ბუდაპეშტის ქ. 1ბ, მესამე სართული, სადაც აუდიტორიებში დამონტაჟებული იყო გათბობის პერიფერიული საშუალებები (ელექტროლუმენები). ისინი 2018 წლის ბოლოსკენ გადამოწმდა და საჭიროებისამებრ შეკეთდა. ამ მიზნით შეძენილ იქნა ელ. ღუმელის სპირალი (2 ერთეული) და ელექტრო კონვექტორი (2 ერთეული). ზამთრის არდადეგების დასრულების შემდეგ, ელექტრო გამათბობელები კვლავ გადამოწმდა და ყველა აღმოჩნდა გამართული.</p> <p>კოლეჯი 2019 წლის 1 მაისიდან გადავიდა ახალ მისამართზე. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით. ზამთრის დადგომამდე მოხდა სისტემის გადამოწმება. აღმოფხვრა მცირე დაზიანებები. ამჟამად გათბობის სისტემა მუშაობს გამართულად.</p>			
<b>შესრულების შეფასება</b>	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
<b>სამომავლო გეგმები</b>	-			

<b>აქტივობა 5 - სან-ჰიგიენური წერტილების, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის და პირველადი სამედიცინო დახმარების გადამოწმება-სრულყოფა</b>	
<b>აქტივობის მოკლე აღწერა</b>	სანიტარულ-ჰიგიენური წერტილების, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის და პირველადი სამედიცინო დახმარების გადამოწმება-სრულყოფა წარმოადგენს სასწავლო სახელოსნოების/დარგობრივი კაბინეტების/თეორიული სწავლების აუდიტორიების მატერიალური რესურსით გაუმჯობესების ამოცანის ფარგლებში ერთ-ერთ აქტივობას.
<b>მთავარი მიზანი</b>	მატერიალური რესურსის განვითარება



<b>ინდიკატორი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>მატერიალური რესურსის გაუმჯობესებაზე დახარჯული თანხა</li> </ul>			
<b>სავარაუდო ვადა</b>	2019 წელი			
<b>მიღწეული შედეგები</b>	<p>სანიტარულ-ჰიგიენური წერტილების გადამოწმება-სრულყოფის მიზნით შემოწმდა წყალგაყვანილობის სისტემა, სველი წერტილები. ახალ მისამართზე შესრულდა სარემონტო სამუშაოები. საერთო ჯამში სან-ჰიგიენური წერტილების, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის და პირველადი სამედიცინო დახმარების გადამოწმება-სრულყოფაზე დაიხარჯა 106,89 ლარი.</p> <p>ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის განახლების მიზნით გადამუხტა ცეცხლმაქრები, რაც დასტურდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით.</p> <p>პირველადი სამედიცინო დახმარების სრულყოფილად აღმოჩენის მიზნით, პასუხისმგებელი პირის მიერ გადამოწმდა მედიკამენტები და მათი ვარგისიანობა.</p>			
<b>შესრულების შეფასება</b>	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
<b>სამომავლო გეგმები</b>	-			

## ამოცანა 2 - საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება

<b>აქტივობა 1. - ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დანერგვა</b>	
<b>აქტივობის მოკლე აღწერა</b>	ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დანერგვა წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის მეორე ამოცანის საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესების მიმართულებით ერთ-ერთ აქტივობას.
<b>მთავარი მიზანი</b>	მატერიალური რესურსის განვითარება
<b>ინდიკატორი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>შემუშავებული ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა</li> </ul>
<b>სავარაუდო ვადა</b>	2019 წელი

<b>მიღწეული შედეგები</b>	ააიპ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასა და კოლეჯს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის საგანსაც წარმოადგენს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (eFlow) განვითარება, მხარდაჭერა, ტექნიკური მომსახურება, მიმწოდებლის სერვერზე განთავსება და მისი ადმინისტრირების მომსახურების შესყიდვა მომხმარებლისთვის (კოლეჯისთვის). განხორციელდა მომსახურების შესყიდვა 4 იუზერისთვის 1 წლის განმავლობაში. ასევე, გაიმართა სამუშაო შეხვედრა პროგრამაში მუშაობის გასაცნობად, თუმცა ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დანერგვა არ დასრულებულა და ეს პროცესი გაგრძელდება სისტემის დანერგვამდე.			
<b>შესრულების შეფასება</b>	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
		✓		
<b>სამომავლო გეგმები</b>	-			

<b>აქტივობა 2. - ვებ გვერდის მუდმივი განახლება სიახლეების განთავსებით</b>				
<b>აქტივობის მოკლე აღწერა</b>	ვებ გვერდის მუდმივი განახლება სიახლეების განთავსებით წარმოადგენს საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესების ამოცანის ფარგლებში ერთ-ერთ აქტივობას.			
<b>მთავარი მიზანი</b>	მატერიალური რესურსის განვითარება			
<b>ინდიკატორი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>გონივრულ ვადებში განახლებული ვებგვერდი</li> </ul>			
<b>სავარაუდო ვადა</b>	2019 წელი			
<b>მიღწეული შედეგები</b>	კოლეჯის ვებგვერდის განახლება მუდმივად მიმდინარეობს. გონივრულ ვადებში ხდება სიახლეების განთავსება, რაც დასტურდება ვებგვერდით <a href="http://www.barakoni.edu.ge">www.barakoni.edu.ge</a> .			
<b>შესრულების შეფასება</b>	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			

სამომავლო გეგმები	-
-------------------	---

### ამოსანა 3 - საბიბლიოთეკო სერვისების გაუმჯობესება

<i>აქტივობა 1. - პროგრამების განხორციელების მიზნებისთვის ბიბლიოთეკის წიგნთა ფონდის განახლება</i>				
<b>აქტივობის მოკლე აღწერა</b>	ბიბლიოთეკის წიგნთა ფონდის განახლება წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის მესამე ამოცანის ფარგლებში ერთ-ერთ აქტივობას.			
<b>მთავარი მიზანი</b>	მატერიალური რესურსის განვითარება			
<b>ინდიკატორი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>შემენილი წიგნების რაოდენობა</li> </ul>			
<b>სავარაუდო ვადა</b>	2019 წელი			
<b>მიღწეული შედეგები</b>	2019 წელს კოლეჯმა მოიპოვა 3 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება. ამ პროგრამებისთვის საჭირო გახდა წიგნადი ფონდის მნიშვნელოვანი განახლება. საანგარიშო პერიოდში, კოლეჯმა დაიმატა 93 ბეჭდური და 169 ელექტრონული წიგნი, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და გატარებულია საინვენტარო წიგნში.			
<b>შესრულების შეფასება</b>	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები	-			

<i>აქტივობა 2. - საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონული საძიებო სისტემის დანერგვა</i>				
<b>აქტივობის მოკლე აღწერა</b>	საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონული საძიებო სისტემის დანერგვა წარმოადგენს საბიბლიოთეკო სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით ერთ-ერთ აქტივობას.			

<b>მთავარი მიზანი</b>	მატერიალური რესურსის განვითარება			
<b>ინდიკატორი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>განახლებული საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონული საძიებო სისტემა</li> </ul>			
<b>სავარაუდო ვადა</b>	2019 წელი			
<b>მიღწეული შედეგები</b>	<p>საბიბლიოთეკო სერვისების გაუმჯობესების მიზნით, კოლეჯმა ა(ა)იპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმში 2017-გან შეიძინა მომსახურება. აღნიშნული მომსახურება მოიცავდა შემსრულებლის კომპიუტერზე (სერვერზე) ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის „OpenBiblio“-ს გამართვას, დამკვეთის ბიბლიოთეკარის ორდლიან ტრენინგსა და „OpenBiblio“ მომხმარებლის სახელმძღვანელოს გადაცემას. აღნიშნული პროცესების გავლის შემდეგ, საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონულ საძიებო სისტემაში შეტანილია ბიბლიოთეკაში დაცული წიგნთა ფონდი. მათ შორის დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონულ მატარებელზე არსებული სასწავლო რესურსები.</p>			
<b>შესრულების შეფასება</b>	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
<b>სამომავლო გეგმები</b>	-			

## სტრატეგიული მიზანი 2

2019 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იყო 2 ამოცანის ფარგლებში 8 აქტივობის განხორციელება.

### ამოცანა 1 – მართვის სტრუქტურისა და საქმიანობის გაუმჯობესება

*აქტივობა 1 - პერსონალის თანამდებობებისთვის შესაბამისი სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებისთვის განსაზღვრული მარეგულირებელი დოკუმენტის შემუშავება/განახლება*

<b>აქტივობის მოკლე აღწერა</b>	პერსონალის თანამდებობებისთვის შესაბამისი სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებისთვის განსაზღვრული მარეგულირებელი დოკუმენტის შემუშავება/ განახლება წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.			
<b>მთავარი მიზანი</b>	კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება			
<b>ინდიკატორი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>პერსონალის თანამდებობებისთვის შესაბამისი სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებისთვის განსაზღვრული მარეგულირებელი დოკუმენტი</li> </ul>			
<b>სავარაუდო ვადა</b>	2019 წლის პირველი ნახევარი			
<b>მიღწეული შედეგები</b>	სტრუქტურული ერთეულის თითოეული პოზიციისთვის დირექტორის ბრძანებით (N12/26.02.2019) დამტკიცებულია სამუშაოს აღწერის დოკუმენტი. ამავე ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა დირექტორის 2017 წლის 18 დეკემბრის ბრძანება N70 „შპს ბარაკონში თანამდებობების დასაკავებლად საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნები“-ს შესახებ.			
<b>შესრულების შეფასება</b>	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
<b>სამომავლო გეგმები</b>	-			

<b>აქტივობა 2 - შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებების გაფორმება სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან და პედაგოგიურ პერსონალთან</b>				
<b>აქტივობის მოკლე აღწერა</b>	შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებების გაფორმება სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან და პედაგოგიურ პერსონალთან წარმოადგენს ერთ-ერთ აქტივობას მართვის სტრუქტურისა და საქმიანობის გაუმჯობესების ამოცანის მიმართულებით.			
<b>მთავარი მიზანი</b>	კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება			

<b>ინდიკატორი</b>	▪ გაფორმებული ხელშეკრულებები			
<b>სავარაუდო ვადა</b>	2019 წელი			
<b>მიღწეული შედეგები</b>	<p>კოლეჯში რეგულარულად მიმდინარეობდა შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებების გადახედვა, გაფორმება როგორც პერსონალთან, ასევე სასწავლო პროცესის განმახორციელებელ პირებთან.</p> <p>საანგარიშო პერიოდში 160 ხელშეკრულება გაფორმდა, რომელთაგან 149 მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულია პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. სამი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით, საჭიროება დადგა ახალი კადრების მოზიდვის, რამაც განაპირობა ხელშეკრულებების გაფორმება და მათი რაოდენობის მკვეთრი ზრდა.</p> <p>10 შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია ადმინისტრაციულ პერსონალთან, ხოლო 1 ხელშეკრულება - კოლეჯის ლოგოს დამზადების მიზნით.</p>			
<b>შესრულების შეფასება</b>	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
<b>სამომავლო გეგმები</b>	-			

**ამოცანა 2 - ადამიანური რესურსის/პროფესიული განათლების მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარება**

<b>აქტივობა 1 - პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევისთვის კითხვარების შემუშავება</b>	
<b>აქტივობის მოკლე აღწერა</b>	პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევისთვის კითხვარების შემუშავება წარმოადგენს ადამიანური რესურსის/პროფესიული განათლების მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების ამოცანის ფარგლებში ერთ-ერთ აქტივობას.
<b>მთავარი მიზანი</b>	კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება

<b>ინდიკატორი</b>	▪ შემუშავებული კითხვარი			
<b>სავარაუდო ვადა</b>	2019 წლის პირველი ნახევარი			
<b>მიღწეული შედეგები</b>	საანგარიშო პერიოდში კითხვარი არ შემუშავებულა.			
<b>შესრულების შეფასება</b>	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
				✓
<b>სამომავლო გეგმები</b>	კითხვარის შემუშავება საანგარიშო პერიოდში ვერ განხორციელდა. მიზანშეწონილია აქტივობის განხორციელება უზრუნველყოფილი იყოს 2020 წელს.			

<b>აქტივობა 2 - პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ჩატარება და მონაცემთა ანალიზი</b>				
<b>აქტივობის მოკლე აღწერა</b>	პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ჩატარება და მონაცემთა ანალიზი წარმოადგენს ადამიანური რესურსის/ პროფესიული განათლების მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების ამოცანის ფარგლებში ერთ-ერთ აქტივობას.			
<b>მთავარი მიზანი</b>	კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება			
<b>ინდიკატორი</b>	▪ პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგები და ანგარიში			
<b>სავარაუდო ვადა</b>	2019 წლის პირველი ნახევარი			
<b>მიღწეული შედეგები</b>	გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევისთვის კითხვარები არ შემუშავებულა, ვერ განხორციელდებოდა პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა და მონაცემთა ანალიზი.			
<b>შესრულების შეფასება</b>	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
				✓



<b>სამომავლო გეგმები</b>	მას შემდეგ, რაც შემუშავდება პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევისთვის კითხვარი, მიზანშეწონილია ჩატარდეს კვლევა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შემუშავდეს კვლევის ანგარიში.
--------------------------	--

<b>აქტივობა 3 - პროფესიული განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიული მასწავლებლების ტრენინგი</b>				
<b>აქტივობის მოკლე აღწერა</b>	პროფესიული განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიული მასწავლებლების ტრენინგი წარმოადგენს ადამიანური რესურსის/პროფესიული განათლების მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების ამოცანის ფარგლებში ერთ-ერთ აქტივობას.			
<b>მთავარი მიზანი</b>	კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება			
<b>ინდიკატორი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>პროფ. მასწავლებელთა წილი, რომლებმაც გაიარეს/გადიან ტრენინგი</li> </ul>			
<b>სავარაუდო ვადა</b>	2019 წელი			
<b>მიღწეული შედეგები</b>	გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევისთვის კითხვარები არ შემუშავებულა, ვერ განხორციელდებოდა პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა და მონაცემთა ანალიზი. ასევე, ვერ განხორციელდებოდა პროფესიული მასწავლებლების საჭიროებებზე მორგებული ტრენინგები.			
<b>შესრულების შეფასება</b>	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
				✓
<b>სამომავლო გეგმები</b>	მას შემდეგ რაც შემუშავდება პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ანგარიში, მიზანშეწონილია დაიგეგმოს და განხორციელდეს მასწავლებლების საჭიროებებზე მორგებული ტრენინგები.			



**აქტივობა 4 - პროფესიულ მასწავლებელთა ტრენინგი მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში**

<b>აქტივობის მოკლე აღწერა</b>	პროფესიულ მასწავლებელთა ტრენინგი მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში წარმოადგენს ადამიანური რესურსის/პროფესიული განათლების მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების ამოცანის ფარგლებში ერთ-ერთ აქტივობას.			
<b>მთავარი მიზანი</b>	კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება			
<b>ინდიკატორი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>ჩატარებული ტრენინგები</li> </ul>			
<b>სავარაუდო ვადა</b>	2019 წელი			
<b>მიღწეული შედეგები</b>	მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით ტრენინგები ჩატარდათ იმ საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლებს, რომელთა პროგრამების ჩანაცვლებაც იგეგმებოდა მოდულური პროგრამებით. მათ ინფორმაცია მიეწოდათ მოდულური პროგრამების თავისებურებებისა და მოდულების ადაპტირების შესახებ. ინფორმაცია ტრენინგების შესახებ განთავსებულია ვებ გვერდზე <a href="http://www.barakoni.edu.ge">www.barakoni.edu.ge</a> .			
<b>შესრულების შეფასება</b>	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
<b>სამომავლო გეგმები</b>	-			

**აქტივობა 5 - პროფესიულ მასწავლებელთა ტრენინგი შეფასების თანამედროვე მეთოდებში**

<b>აქტივობის მოკლე აღწერა</b>	პროფესიულ მასწავლებელთა ტრენინგი შეფასების თანამედროვე მეთოდებში წარმოადგენს ამოცანის ფარგლებში ერთ-ერთ აქტივობას.			
<b>მთავარი მიზანი</b>	კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება			
<b>ინდიკატორი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>პროფ. მასწავლებელთა შესაძლებლობების გაძლიერებაზე დახარჯული რესურსი</li> </ul>			

<b>სავარაუდო ვადა</b>	2019 წელი			
<b>მიღწეული შედეგები</b>	საანგარიშო პერიოდში მოდულის განმახორციელებლებისთვის, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების მიზნით, სისტემატურად ხორციელდებოდა ინდივიდუალური კონსულტაციების გაწევა. ასევე, განხორციელდა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულთა განმახორციელებლებისთვის ტრენინგები, რომელიც პროგრამების დამატებაც განხორციელდა 2019 წლის შემოდგომაზე. ტრენინგის თემას წარმოადგენდა როგორც კალენდარული გეგმების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების თავისებურებების გაცნობა. მათ ასევე ელექტრონულ ფოსტაზე დაეგზავნათ კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების ინსტრუქციები.			
<b>შესრულების შეფასება</b>	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
<b>სამომავლო გეგმები</b>	-			

<b>აქტივობა 6 - მასწავლებელთა ტრენინგი ისტ-ის გამოყენებაზე სწავლებაში</b>	
<b>აქტივობის მოკლე აღწერა</b>	სტრატეგიული მიზნის ფარგლებში ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენს მასწავლებელთა ტრენინგი ისტ-ის გამოყენებაზე სწავლებაში
<b>მთავარი მიზანი</b>	კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება
<b>ინდიკატორი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>პროფ. მასწავლებელთა წილი, რომლებმაც გაიარეს/გადიან ტრენინგი</li> </ul>
<b>სავარაუდო ვადა</b>	2019 წლის პირველი ნახევარი
<b>მიღწეული შედეგები</b>	საანგარიშო პერიოდში ინფორმაციული ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელმა პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარა ტრენინგი ისტ-ის გამოყენებაზე სწავლების პროცესში. ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული განათლების მასწავლებლებში კომპიუტერული უნარების განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს მათ მიერ სწავლების პროცესში ისტ-ის

	გამოყენებას. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დაახლოებით 20% მომავალშიც საჭიროებს ამ მიმართულებით ტრენინგებს.			
<b>შესრულების შეფასება</b>	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
<b>სამომავლო გეგმები</b>	-			

### სტრატეგიული მიზანი 3

2019 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იყო 3 ამოცანის ფარგლებში 6 აქტივობის განხორციელება.

#### ამოცანა 1 - შრომის ბაზრის ანალიზის ანგარიშების მოძიება

<i>აქტივობა 1 - სხვადასხვა უწყებების მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგების მოძიება და გაცნობა</i>	
<b>აქტივობის მოკლე აღწერა</b>	სხვადასხვა უწყებების მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგების გაცნობა წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.
<b>მთავარი მიზანი</b>	მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა
<b>ინდიკატორი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>კვლევის ანგარიშები</li> </ul>
<b>სავარაუდო ვადა</b>	2019 წლის პირველი ნახევარი
<b>მიღწეული შედეგები</b>	სხვადასხვა უწყებების მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის ანგარიშების მოძიება მიზნად ისახავდა შემუშავებულიყო დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის მიზანშეწონილობის დასაბუთება. აღნიშნული დასაბუთება დანართის სახით ახლავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადს. შესაბამისად, მიზანშეწონილობის დასაბუთება დაეყრდნო მოძიებულ კვლევის ანგარიშებს.

<b>შესრულების შეფასება</b>	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
<b>სამომავლო გეგმები</b>	-			

**ამოცანა 2 – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება**

<b>აქტივობა 1 - პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დირექტორისთვის წარდგენა დასამტკიცებლად</b>				
<b>აქტივობის მოკლე აღწერა</b>	პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დირექტორისთვის წარდგენა დასამტკიცებლად წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.			
<b>მთავარი მიზანი</b>	მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა			
<b>ინდიკატორი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამები</li> </ul>			
<b>სავარაუდო ვადა</b>	2019 წლის პირველი ნახევარი			
<b>მიღწეული შედეგები</b>	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავდა დირექტორის მოადგილის ხელმძღვანელობით მოდულის განმახორციელებლებთან ერთად, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი შემუშავების პროცესში. მათ მოდულთა დამხმარე ჩანაწერები შესაბამისობაში მოიყვანეს მოდულთა საჭიროებებთან, მოიძიეს სასწავლო რესურსები, ხოლო თემატიკა შეუსაბამეს სწავლის შედეგებს. ადაპტირებული პროგრამების პროექტი მოხსენებითი ბარათის სახით წარედგინა დირექტორს. დირექტორმა 2019 წლის 17 ივნისს N36 ბრძანებით დაამტკიცა საოფისე საქმის, ფარმაციის (სააფთიაქო) და საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.			
<b>შესრულების შეფასება</b>	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			

სამომავლო გეგმები	-
-------------------	---

<b>აქტივობა 2 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განაცხადის წარდგენა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში</b>				
<b>აქტივობის მოკლე აღწერა</b>	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განაცხადის წარდგენა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.			
<b>მთავარი მიზანი</b>	მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა			
<b>ინდიკატორი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ</li> </ul>			
<b>სავარაუდო ვადა</b>	2019 წელი			
<b>მიღწეული შედეგები</b>	<p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადი თავისი დანართებით წარედგინა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით. ცენტრში განაცხადი გაკეთებულია წერილით (N37/19.06.2019).</p> <p>პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის N169 გადაწყვეტილებით კოლეჯს მიენიჭა განხორციელოს სამი საგანმანათლებლო პროგრამა. კერძოდ: საოფისე საქმე; საექთნო საქმე; ფარმაცია (სააფთიაქო).</p>			
<b>შესრულების შეფასება</b>	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები	-			

**ამოცანა 3 – სასწავლო პროცესის ორგანიზება**

<i>აქტივობა 1 - კალენდარული გეგმის შემუშავება</i>				
<b>აქტივობის მოკლე აღწერა</b>	სასწავლო პროცესის ორგანიზების ამოცანის ფარგლებში ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენს კალენდარული გეგმის შემუშავება.			
<b>მთავარი მიზანი</b>	მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა			
<b>ინდიკატორი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>შემუშავებული კალენდარული გეგმები</li> </ul>			
<b>სავარაუდო ვადა</b>	2019 წელი			
<b>მიღწეული შედეგები</b>	ზაგა-ბალის აღმზრდელი პედაგოგისა და ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამის ფარგლებში მოდულთა განმახორციელებლების მიერ შემუშავებულია კალენდარული გეგმები. სამი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ მოდულთა განმახორციელებელთა მიერ ეტაპობრივად ხორციელდება კალენდარული გეგმების შემუშავება. საერთო ჯამში 2019 წლის ბოლომდე შემუშავებულია 23 მოდულისთვის კალენდარული გეგმები.			
<b>შესრულების შეფასება</b>	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
<b>სამომავლო გეგმები</b>	-			

<i>აქტივობა 2 - შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება</i>				
<b>აქტივობის მოკლე აღწერა</b>	სასწავლო პროცესის ორგანიზების ამოცანის ფარგლებში ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება.			
<b>მთავარი მიზანი</b>	მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა			
<b>ინდიკატორი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები</li> </ul>			
<b>სავარაუდო ვადა</b>	2019 წელი			

<b>მიღწეული შედეგები</b>	<p>ბაგა-ბადის აღმზრდელი პედაგოგისა და ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამის ფარგლებში მოდულთა განმახორციელებლების მიერ შემუშავებულია შეფასების ინსტრუმენტები. მათ მიერ მოდულის დაწყებამდე ხდება შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში მათში ცვლილებების განხორციელება.</p> <p>სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ მოდულთა განმახორციელებელთა მიერ ეტაპობრივად ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება.</p>			
<b>შესრულების შეფასება</b>	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
<b>სამომავლო გეგმები</b>	-			

<b>აქტივობა 3 - ხელშეკრულებების/მემორანდუმების გაფორმება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით</b>	
<b>აქტივობის მოკლე აღწერა</b>	სასწავლო პროცესის ორგანიზების ამოცანის ფარგლებში ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენს პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულებების/მემორანდუმების გაფორმება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით.
<b>მთავარი მიზანი</b>	მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა
<b>ინდიკატორი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტთან</li> </ul>
<b>სავარაუდო ვადა</b>	2019 წლის პირველი ნახევარი
<b>მიღწეული შედეგები</b>	დირექტორის მოადგილის ხელმძღვანელობით შემუშავებული პროგრამები მოიცავენ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს. ისინი ასევე, აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ითვალისწინებს ავტორიზაციის სტანდარტები და საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტი. კერძოდ, გაფორმებულია შემდეგი რაოდენობის ხელშეკრულებები:



